




ხაშურის მთაშუა



№24 (205)

24 ივნისი, ორშაბათი,

2019 წელი

სოფელ ფლევი თანამედროვე სტანდარტების მქონე სკოლა შენდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევი სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს. სამუშაო პროცესი შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ხოჯევანიშვილმა, რწმუნებულის მოადგილემ სიმონ გულედანმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა დაათვალიერეს. სამუშაოებს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს, რაზეც 3 მილიონ ლარამდეა განსახდებელი.

350 მოსწავლეზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების 2 სართულიანი სკოლის შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებზეც. მშენებლობა ევროსტანდარტების მოთხოვნათა დაცვით მიმდინარეობს. გამოყენებულ სამშენებლო მასალებს გააჩნია ხარისხის და ეკოლოგიურობის დამადასტურებელი მარკირება და



სერტიფიკატი. სკოლაში იფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, აღიჭურვება თანამედროვე სასკოლო ინვენტარით, მოეწყობა დიადა დახურული სპორტული მოედნები.

„ფლევის საჯარო სკოლის მშენებლობა მალე დასრულდება და განახლებული სასწავლო წლიდან მოსწავლეები და პედაგოგები თანამედროვე სკოლის შენობით ისარგებლებენ. გარდა ფლევისა, სკოლა მიმდებარე ორი სოფლის მოსწავლეებსაც მოემსახურება. მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს ყველა პირობა ჰქონდეთ, რომ განათლება სრულფასოვან გარემოში მიიღონ, ფლევის საჯარო სკოლა კი ამ შესაძლებლობას იძლევა.

– საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწყობა თუ გაუმჯობესება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია და ამ კუთხით რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, - აღნიშნა გიორგი ხოჯევანიშვილმა.



რა ეტაპზეა რიკოთის გვირაბამდე მისასვლელი ავტობანი

საავტომობილო გზების დეპარტამენტი, 60 ადმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომგისტრალის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის 14 კმ-იანი გზის მშენებლობას ახორციელებს. პროექტი 2 მონაკვეთადაა დაყოფილი. პირველ მონაკვეთზე სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდება. ხოლო მეორე მონაკვეთზე, შეჩერებული სამუშაოების გასაგრძელებლად, მსოფლიო ბანკთან სხვადასხვა საკითხის განხილვა და მო-



ლაპარაკებები მიმდინარეობს.

ამ დროისთვის, ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის პირველ მონაკვეთზე, ხიდების მშენებლობა, ყრილის მოწყობა, ელექტროგადამცემი ხაზების გადატანა და მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მათ შორის დამცავი ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზა, რიკოთის საუღელტეხილო გვირაბამდე მიდის. ამ გზით, ჩრდილოეთიდან გვერდს აუევლით ხაშურს, სურამს, ჩუმათელეთს და გამოვალთ რიკოთის გვირაბთან. ეს მონაკვეთი ერთ-ერთი ურთულესია და მოიცავს რამდენიმე გვირაბსა და ხიდს.

აღნიშნული გზა ავარა-ზემო ოსიაურის გზის გაგრძელება იქნება, რომლის უკვე აშენებული 5 კილომეტრიც ამ პროექტის დასრულების შემდეგ შევაქსპლუატაციაში.

პროექტის ფარგლებში აშენდება: 4 ხოლიანი ცემენტ-ბეტონის გზა, 21 ხიდი, 5 გვირაბი, რკინა-ბეტონის მიწისქვეშა გასასვლელები, წყალგამტარი მილები და სადრენაჟო სისტემები.



სურამში ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, უკვე დამონტაჟდა სკამები, მიმდინარეობს ჩასასვლელი კიბის და კედლების მოწყობა, მოხდება ფასადების რეაბილიტაცია და სანიტარული კვანძის მოწყობა.

„აღნიშნული პროექტი მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და შეკრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში იქნა შერჩეული. ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე დამსვენებლისთვის.“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდნენ მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი, ეკონომიკის სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი.

მათი განმარტებით, პროექტის ჯამური ღირებულება 20 827 ლარს შეადგენს და სამუშაოები ივლისის შუა რიცხვებში დასრულდება.



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხაშურსერვისის“ - 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის დეკემბრამდე პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა, ამ დღეებში, დაასრულა მერიის ყველაზე მსხვილი ა(ა)იპ-ის „ხაშურსერვისის“ აუდიტი (2018წ). საჯაროობის პრინციპებიდან გამომდინარე, დღეს მკითხველს ამ აუდიტორული შემოწმების საგაზეთო ვარიანტს ვთავაზობთ.

აუდიტის მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად გზუფზე გადაცემული დოკუმენტები

- გადმოგვეცა შემდეგი დოკუმენტაცია:
 - დაფუძნების მასალები, წესდება, სამოქმედო პროგრამის მიმდინარეობის შესრულების დოკუმენტაცია;
 - საკონტროლო პერიოდის, როგორც გეგმიური, ასევე საკასო შესრულების დოკუმენტები;
 - პროგრამაზე სამოქმედო გეგმების მიზნების და ამოცანების განხორციელების მიმდინარე მონიტორინგის მონაცემები;
 - ა(ა)იპ-ის დამტკიცებული საშტატო განრიგი;
 - ბიუჯეტით განსახორციელებელი გადასახდელების დასაფინანსებელი ოპერაციების დოკუმენტაცია;
 - დარიცხული და გაცემული ხელფასის დოკუმენტაცია;
 - დოკუმენტები ძირითადი და მცირეფასიანი ქონების შესყიდვასა და სარგებლობაზე;
 - გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ა) ზოგადი დებულებანი იურიდიული პირის სრული სახელწოდება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხაშურსერვისი“ (შემდგომში იურიდიული პირი);

იურიდიული პირის მისამართი: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №7; იურიდიული პირის საქმიანობის ვადა განუსაზღვრელია; იურიდიულ პირს შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები საქართველოს საბანკო დაწესებულებებში;

იურიდიული პირის დამფუძნებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „ხაშურის თვითმმართველი ერთეული - ხაშურის მუნიციპალიტეტი“, მარეგისტრირებული ორგანო - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: 16016990, 11/02/2016 13:01:42.



ბ) იურიდიული პირის ძირითადი მიზნები და საქმიანობის საგანი ა(ა) იპ „ხაშურსერვისი“-ს შექმნის ძირითადი მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა და მოიცავს შემდეგ სფეროებს:

ა) ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე დასახლებული პუნქტების ტერიტორიების შიდა გზების დასუფთავება, განათება და შიდა გზების დაპროფილება;

ბ) დასახლებათა ტერიტორიების, ქუჩების, მოედნების, ტროტუარების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაგვა-დასუფთავება, გათოვლა, საოჯახო-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სხვა სახის (ნაგავი და გადაწყარო) ნარჩენების დახარისხების, გატანის, შეგროვებისა და ტრანსპორტირების ორგანიზება;

გ) სანაგვე ურნების, კონტეინერების, ნარჩენების განთავსების ადგილების (ნაგავსაყრელების) მოვლა-პატრონობა და ნარჩენების გადასამუშავებლად

შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

დ) ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების, მაგისტრალის, ქუჩების, გზების, საზოგადოებრივი ადგილების, სკვერების, პარკების, გამწვანებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების, ქალაქის განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, გარე განათების ქსელების პროექტირება, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია და შენობა-ნაგებობების დეკორატიულ-მხატვრული განათება;

ე) სადღესასწაულო და სხვა ღონისძიებების მხატვრულ-დეკორაციული (სადღესასწაულო ილუმინაციები, დეკორაციები, დროშები, ბანერები, სცენები, ფეიერვერკები და ა.შ.) და სხვა საჭირო ატრიბუტიკითა და გახმონანება-განათებით უზრუნველყოფა;

ვ) ხაშურის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და ამ სფეროში მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელება-ხელშეწყობა.

საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამის ანალიზი ხაშურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა:

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №122 განკარგულების საფუძველზე „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს დაუმტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრების დარიგების მომსახურების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის 2018 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 1535200 (ერთი მილიონ ხუთასოცდათხუთმეტიათას ორასი) ლარი. აქედან ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით 1490200 (ერთი მილიონ ოთხასოთხმოცდაათიათას ორასი) ლარი და საკუთარი შემოსავლები 45000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 780200 (შვიდასოთხმოციათას ორასი) ლარი, საქონელი და მომსახურება 450000 (ოთხასორმოცდაათიათასი) ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 215000 (ორასოთხუთმეტიათასი) ლარი, დანარჩენი საქონელი და მომსახურება საკუთარი შემოსავლებიდან - 90000 (ოთხმოცდაათიათასი) ლარი. ქვეპროგრამების დაფინანსება ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებიდან განისაზღვრა შემდეგნაირად: მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების ქვეპროგრამა 896000 (რვაასოთხმოცდათექვსმეტიათასი) ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 530000 (ხუთასოცდაათიათასი) ლარი, საქონელი და მომსახურება - 366000 (სამასამოცდაექვსიათასი) ლარი, მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების ქვეპროგრამა - 274200 (ორასსამოცდაოთხმეტიათასორასი) ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 86200 (ოთხმოცდაექვსიათასორასი) ლარი, საქონელი და მომსახურება - 188000 (ასოთხმოცდარვაათასი) ლარი, ქალაქის ქუჩების, დაბა სურამის და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან დამაკავშირებელი შიდა გზების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამა 300000 (სამასი ათასი) ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე - 144000 (ასორმოცდაოთხიათასი) ლარი, საქონელი და მომსახურება -156000 (ასოთხმოცდათექვსმეტიათასი) ლარი. განისაზღვრა ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში წყლის სათავე-ნაგებობების ზედამხედველობაზე მომუშავე ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურება თანხით 20000 (ოციათასი) ლარი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, მეორედ შევიდა ცვლილება 2017 წლის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №122-ში და საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის №133 განკარგულების საფუძველზე განისაზღვრა „ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის 2018 წლის პროგრამა სულ 1490200 (ერთიმილიონოთხასოთხმოცდაათიათასორასი) ლარი. აქედან ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით 1445200 (ერთიმილიონოთხასოთხმოცდახუთიათასორასი) ლარი, საკუთარი შემოსავლები - 45000 (ორმოცდახუთიათასი) ლარი, აქედან: შრომის ანაზღაურება - 780000 (შვიდასოთხმოციათასი) ლარი, საქონელი და მომსახურება - 450000 (ოთხასორმოცდაათიათასი) ლარი, მათ შორის: მივლინებები 3000 (სამი ათასი) ლარი, ოფისის ხარჯები - 16000 (თექვსმეტი ათასი) ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად პიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები. სხვა დანარჩენი და მომსახურება 215000 (ორასოთხუთმეტიათასი) ლარი, დანარჩენი საქონელი და მომსახურება საკუთარი შემოსავლებიდან - 45000 (ორმოცდახუთიათასი) ლარი.

პროგრამების (ქვეპროგრამების) დაფინანსება ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით განისაზღვრა შემდეგნაირად: დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები - 876000 (რვაასსამოცდათექვსმეტიათასი) ლარი, გარე განათების ღონისძიებები - 274200 (ორასსამოცდაოთხმეტიათასორასი) ლარი, შიდა გზების მოვლა-პატრონობა 275000 (ორასსამოცდაოთხუთმეტიათასი) ლარი და წყლის სათავე ნაგებობების ზედამხედველობა - 20000 (ოცი ათასი) ლარი.

განისაზღვრა ორგანიზაციის 2018 წლის საკუთარი შემოსავლების და ხარჯების გეგმა 45000 (ორმოცდახუთიათასი) ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით ორგანიზაციის შემოსულობებმა შეადგინა 1507886,04 (მილიონ ხუთასშვიდიათას რვაასოთხმოცდაექვსი) ლარი და 04 თეთრი ნაცვლად გეგმიური 1490200 (მილიონოთხასოთხმოცდაათიათასორასი) ლარისა, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები 1444482,04 (მილიონ ოთხასორმოცდაოთხიათასოთხასოთხმოცდაორი) ლარი და 04 თეთრი, ნაცვლად გეგმიური 1445200 (მილიონოთხასოთხმოცდახუთიათასორასი) ლარისა, სხვა შემოსულობები (საკუთარი) - 63404 (სამოცდასამიათასოთხასოთხი) ლარი, ნაცვლად გეგმიური 45000 (ორმოცდახუთიათასი) ლარისა. ორგანიზაციის საკასო შესრულებამ ნაზარდი ჯამით (ხარჯებმა საბიუჯეტო და საკუთარი შემოსავლებიდან) პროგრამების (ქვეპროგრამების) მიხედვით 2018 წლის საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1512981,52 (მილიონხუთასოთხმეტიათასცხრასოთხმოცდაერთი) ლარი და 52 თეთრი, ნაცვლად გეგმიური 1490200 (მილიონოთხასოთხმოცდაათიათასორასი) ლარისა. წინა წლის გარდამავალი ნაშთიდან გახარჯულია 5095,48 (ხუთიათას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი და 48 თეთრი. პროგრამების (ქვეპროგრამების) მიხედვით ორგანიზაციის მიერ გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა: დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები - 963933,86 (ცხრასსამოცდასამიათასცხრასოცდაცამეტი) ლარი და 86 თეთრი, გეგმა - 911000 (ცხრასსთერთმეტიათასი) ლარი, გარე განათების ღონისძიებები - 261450,35 (ორასსამოცდაერთი-

(დასასრული III გვერდზე)

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხაშურსერვისის“ - 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის დეკემბრამდე პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

(დასასრული)

ათასობით (ათასობით) ლარი და 35 თეთრი, გეგმა - 279000 (ორასამოცდაცხრამეტიათასი) ლარი, შიდა გზების მოვლა-პატრონობა - 270897,31 (ორასამოცდაათათხუთმეტიათასობით) ლარი და 31 თეთრი, გეგმა - 280000 (ორასამოცდაათათხუთმეტიათასობით) ლარი, წყლის სისტემების ზედამხედველობა - 16700 (თექვსმეტიათასი) ლარი, გეგმა - 20000 (ოცი ათასი) ლარი.

ორგანიზაციის ხარჯებმა, მუხლების მიხედვით, შეადგინა: შრომის ანაზღაურება 731961,04 (შვიდასოცდათერთმეტიათასობით) ლარი და 4 თეთრი, გეგმა 780200 (შვიდასოცდათერთმეტიათასობით) ლარი, საქონელი და მომსახურება - 563697,23 (ხუთასამოცდასამათასობით) ლარი და 23 თეთრი, გეგმა - 450000 (ოთხასობით) ლარი, აქედან: მივლინება - 0 ლარი, გეგმა - 3000 (სამი ათასი) ლარი, ოფისის ხარჯები - 0 ლარი, გეგმა - 16000 (თექვსმეტი ათასი) ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენისა და პირად პიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 4200 (ოთხათასი) ლარი, გეგმა - 31000 (ოცდათერთმეტი ათასი) ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები - 559497,43 (ხუთასობით) ლარი და 43 თეთრი, გეგმა - 400000 (ოთხასი ათასი) ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 154857,55 (ასობით) ლარი და 215000 (ორასამოცდათერთმეტიათასობით) ლარი, დანარჩენი საქონელი და მომსახურება საკუთარი შემოსავლებიდან - 62465,7 (სამოცდაორიათასობით) ლარი და 70 თეთრი, გეგმა 45000 (ორმოცდახუთათასი) ლარი.

საკუთარი შემოსავლების ხარჯებმა, მუხლების მიხედვით, შეადგინა: დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 62465,7 (სამოცდაორიათასობით) ლარი და 70 თეთრი, გეგმა - 45000 (ორმოცდახუთათასი) ლარი, სხვადასხვა ხარჯები - 938,3 (ცხრასამოცდათერთმეტი) ლარი და 30 თეთრი.

ორგანიზაციის 2018 წლის დასაწყისში ნაშთი საკუთარი შემოსავლებიდან შეადგენდა 18961,29 (თვრამეტიათასობით) ლარს და 29 თეთრს 2018 წლის ბოლოს კი - 29035,29 (ოცდაცხრათასობით) ლარს და 29 თეთრს.

სამშობლო განრიგი, პერსონალის (თანამშრომელთა) კვალიფიკაცია, პროფესიული შესაბამისობა მათ საწარმოო საქმიანობასთან

წესდების შესაბამისად სამშობლო წესების განაკვეთის განსაზღვრა ხდება დირექტორის მიერ, რომელიც წესდების შესაბამისად შეთანხმებულია დამფუძნებელთან (წარმოდგენილი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სახით) და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ ამოცანებს და განსახორციელებელ საქმიანობას. ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულიად აკმაყოფილებს ორგანიზაციაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს დირექტორის მიერ დამტკიცებული 2018 წლის სამშობლო განრიგით გათვალისწინებულია 162 ადამიანი, ორგანიზაციაში 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე სხვადასხვა პერიოდში თანამშრომელთა საშუალო სიობრივმა რაოდენობამ შეადგინა 164 ადამიანი.

შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების აუდიტი

2018 წლის საანგარიშო პერიოდში, შრომის ანაზღაურების სახით დარიცხულია 731961,04 (შვიდასოცდათერთმეტიათასობით) ლარი და ოთხი თეთრი, საშემოსავლო გადასახადის სახით დარიცხულია და გადარიცხულია ბიუჯეტში 130606,19 (ასობით) ლარი და 19 თეთრი, ხელფასი, რომელზეც გავრცელდა კანონით გათვალისწინებული შეღავათი, შეადგენს 69133,76 (სამოცდაცხრათასობით) ლარს და 76 თეთრს. ორგანიზაციაში შეღავათით სარგებლობს 28 ადამიანი.

დაწესებულების მოგებამ საკუთარი შემოსავლებიდან შეადგინა 5644 (ხუთათასობით) ლარი, დარიცხულია და გადახდილია ბიუჯეტში 846 (რვაასობით) ლარი.

მივლინებები და პრემიები

2018 წლის 12 თვეში ორგანიზაციის მივლინებების თანხების გეგმა შეადგენდა 3000 (სამათასი) ლარს, ფაქტიური ხარჯი 0 ლარს. პრემიებისა და დანაშაულების სახით ორგანიზაციას თანხები გაცემული არა აქვს.

ოფისის ხარჯები

ოფისის ხარჯების მუხლით 2018 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა 0 ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16000,0 (თექვსმეტი ათასი) ლარისა.

შესყიდვები

ჩვენს მიერ, შერჩევის წესით, შემოწმებულ იქნა ორგანიზაციის მიერ შესყიდული მატერიალური ფასეულობები და დადგინდა, რომ ორგანიზაციის მიერ შესყიდული მატერიალური ფასეულობა იმყოფება ადგილზე და მათი ღირებულება შეესაბამება მათზე გადახდილ ფასს. ინვენტარის გადაცემა მომხდარია მიღება-ჩაბარების აქტებით, რაც დასტურდება აქტზე ხელმოწერებით.

დაწესებულების შესყიდვების წლიური გეგმა 2018 საანგარიშო წელში შეადგენდა 820777 (რვაასობით) ლარს და 77 თეთრს.

ლარს, ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს მიერ განხორციელებულმა შესყიდვებმა კი შეადგინა 798961,86 (შვიდასოცდათერთმეტიათასობით) ლარი და 86 თეთრი. მათ შორის: გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდა 96237,09 (ოთხმოცდათექვსმეტიათასობით) ლარი და 9 თეთრის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, კონსოლიდირებული შესყიდვის საშუალებით 327194,52 (სამასობით) ლარის და 52 თეთრის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, ხოლო ელექტრონული ტენდერის საშუალებით 375530,25 (სამასამოცდათხუთმეტიათასობით) ლარის და 25 თეთრის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა.

არაფინანსური აქტივები

ორგანიზაციას 2018 წლის 1 იანვრისათვის ბალანსზე ერიცხებოდა არაფინანსური აქტივები 169507,29 (ასამოცდაცხრათასობით) ლარი და 29 თეთრი. 2019 წლის 1 იანვრისთვის კი 149915,15 (ასობით) ლარის და 15 თეთრის. სხვა ძირითადი ქონება (შენობა-ნაგებობები) და სხვა ინვენტარი წარმოადგენს მუნიციპალურ და სახელმწიფო ქონებას.

დებიტორები და კრედიტორები

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ორგანიზაციას დებიტორული დავალიანება არ ერიცხებოდა, კრედიტორული დავალიანება კი შეადგენდა 5626,69 (ხუთათასობით) ლარს და 69 თეთრს, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 0 ლარი, კრედიტორულმა დავალიანებამ კი - 26364,46 (ოცდაექვსათასობით) ლარი და 46 თეთრი.

ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგების მდგომარეობა

დაწესებულებაში ყველა მატერიალური პირი დანიშნულია ბრძანებით. დაწესებულებაში ძირითადად დაგეგმილია ქვეყანაში არსებული საერთო სააღრიცხვო სისტემა. ორგანიზაცია გადასულია ბას-ზე.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ შეიცავს დიდ უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას.

შემოწმებული საანგარიშო პერიოდისთვის, ანგარიშგების წარდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში ხდება მუდმივად, დადგენილ ვადებში.

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის განსაზღვრა

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის მომენტისათვის. სააუდიტო პერიოდში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გადარიცხული მთლიანი საბიუჯეტო თანხებიდან არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არა აქვს. დანახარჯები განხორციელებულია პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული აუცილებლობით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

დაწესებულების ხარჯებიდან განსაკუთრებით დიდი წილი მიდის საწვავის შეძენაზე, რომლის შეძენაც მოხდენილია ძირითადად კონსოლიდირებული წესით სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებული კომპანიებიდან, საწვავის შეძენის რეალობა დასტურდება სპეციალური ანგარიშ-ფაქტურებით.

საწვავის ჩამოწერა მოხდენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის №230, 2011 წლის 18 აპრილის ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად „ეკონომიკურ საქმიანობაში ძირითად საშუალებებზე (ავტოტრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვა) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ დამტკიცების თაობაზე.

გზების მოვლა პატრონობაზე, წმენდით სამუშაოებზე და სხვა შესრულებულ სამუშაოებზე გაკეთებულია მიღება-ჩაბარების აქტები, ვინაიდან დაწესებულების მფლობელობაში არსებული ტექნიკის უმრავლესობას არ გააჩნია გამართული ოდომეტრები, რომლის მაჩვენებლების მიხედვითაც უნდა მოხდეს საწვავის ჩამოწერა, ტექნიკაზე საწვავის ჩამოწერა მოხდენილია დაწესებულების თანამშრომელთა მიერ ჩატარებული ქრონომეტრაჟის დროს გამოვლენილი ხარჯვის შესაბამისად. საწვავი ჩამოწერილია არსებულ ნორმებზე უმნიშვნელო გადახრებით და აკმაყოფილებს ზემოთ მოყვანილი ბრძანების მოთხოვნებს (თუ სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის სპეცტექნიკის და სხვის - გამოშვების წლიდან გასულია არა უმეტეს 5 კალენდარული წელი - დასაშვებია 20%-იანი ცდომილება).

2018 წლის საანგარიშო პერიოდში - საქონელი და მომსახურება, ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯების მუხლებში ადგილი ქონდა დაგეგმილზე მეტი ხარჯების გაწევას. გეგმა შეადგენდა 400000 (ოთხასი ათასი) ლარი, ფაქტიური ხარჯი კი შეადგენს 559497,43 (ხუთასობით) ლარს და 43 თეთრს.

საფინანსო ოპერაციების ანალიზი

დაწესებულება 2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებისა (ცვლილებების გათვალისწინებით) და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 06 ივლისის №225 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად გადასულია სახელმწიფო ხაზინის ერთიან მომსახურების ელექტრონულ სისტემაზე.

დაწესებულებას 2017 წლის ბიუჯეტით დასაფინანსებლად განესაზღვრა ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის, წყლის სათავე-ნაგებობების ზედამხედველობის მთლიანი პროგრამა 1535200 (მილიონ ხუთასობით) ლარი, ფაქტიურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1512981,52 (მილიონ ხუთასობით) ლარი და 52 თეთრი.

მეგობრული კიკაძე,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

სად არის თამარ მეფე დასაფლავებული

ილია ჭავჭავაძე დავით აღმაშენებლის მოსახსენებელი დღისათვის (26 იანვარი) მიმდევნილ წერილში წერს: „ერის დაცემა და გათახსირება იწყება მაშინ, როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“. და შემდეგ: „როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა, ზოგანა, ვისაც აღარ ახსოვს, ვინ არის, საიდან მოდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს“. საკუთარი ისტორიის დავიწყებას, საკუთარი ვინაობის დავიწყებად მიიჩნევს, ჩვენი დიდი წინაპარი და ასეთ ადამიანს ნადირს ადარებს.

ილიას ეს სიტყვები გამახსენდა, ამ რამდენიმე დღის წინ, ქვიშხეთის „ბირჟაზე“ ცხარე კამათს რომ ვუსმენდი, ქართველი ერის სათაყვანებელი მეფის, ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული, თამარ მეფის საიდუმლო ვითარებაში დასაფლავების შესახებ.

რამ გამოიწვია ის, რომ ერმა თავის დიდი მეფის სამუდამო სამყოფელი დაივიწყა და დღეს, საყოველთაო წიგნიერების ხანაში, უამრავი ქართველი, მათ შორის საკმაოდ განათლებულიც, ლეგენდის თვალსაზრისს იზიარებს.

მე-13 საუკუნიდან ქვეყნის ბედი უკუღმა დატრიალდა. ხვარაზმელების შემოსევებმა, მონღოლთა ბატონობამ, თემურ ლენგის ლაშქრობებმა, კულტურულ ევროპასთან კავშირის გაწყვეტამ, ირანისა და თურქეთის მიერ ქვეყნის ორ ნაწილად გაყოფამ, ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შედეგად, ეკონომიკის, კულტურის, ზნეობის დაცემის გამო, ხალხმა თავის ისტორია დაივიწყა. სწორედ ამ დროზეა ნათქვამი ილიას ზემოთ მოყვანილი სიტყვები. მაშინ წარმოიშვა ლეგენდები თამარ მეფის შესახებ. ივ. ჯავახიშვილი იმ ეპოქის განხილვის დროს მიუთითებს, რომ „დიდი სტიქიურის მსგავს უბედურებას ან ძლიერის მტრისგან დამარცხების შემდგომ, ხსნისა და გამოსავლის უიმედობის გრძნობა და შიში ზოგჯერ დამარცხებული, გაჭირვებაში ჩავარდნილი ერის ნებისყოფას სტეხს, სულიერად აკნინებს და ზნეობრივად აძაბუნებს, ადამიანის არსებაში ეგოისტური გრძნობა და ცხოველური თავდაცვის ალლო იღვიძებს და პირად კეთილდღეობაზე მზრუნველობა საერთოსაზე სძლევს ხოლმე და სახელმწიფოებრიობა და საზოგადო ინტერესი კერძო და პირადულს სულისკვეთებას უთმობას ბატონობას“.



ასეთ მდგომარეობაში მყოფ ხალხს, შეიძლება ლეგენდებით საზრდოობა შეუნდო, მაგრამ დღეს, რა საინტერესოც არ უნდა იყოს, ლეგენდებზე დაყრდნობილი არგუმენტებით საზრდოობა არავის ევატიება.

ვიდრე მთავარ სათქმელს შევხებოდეთ, მკითხველის ყურადღებას კიდევ ერთ საკითხს მივაპყრობ. კერძოდ, თამარ მეფის იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დასაფლავების შესახებ.

1929 წელს, ისტორიკოსმა ზურაბ ავალიშვილმა პარიზში გამოაქვეყნა საუკუნის ფრანგი რაინდის დე-ბუას წერილის თარგმანი ქართველთა მეფე-ქალის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების შესახებ. იგი, დე-ბუას სიტყვით, რაინდთა თანმხლებით, პალესტინისაკენ მიჰქონდა ქართველთა ჭაბუკ მეფეს. ამ ცნობის სისწორეში თვითონ ზურაბ ავალიშვილს არ სჯეროდა.

თუმცა, პოეტმა-აკადემიკოსმა ეს ცნობა უტყუარ ჭეშმარიტებად მიიღო და გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა წერილი. „და ისევ პალესტინა“, როგორ შეიძლება არ დავეთანხმეთ ამ ცნობას? - კითხულობს პოეტი და განაგრძობს - „საიდან დაესიზმრებოდა ფრანგ ოფიცერს (რაინდი ოფიცრად იქცა) ჯერ კიდევ მეცამეტე საუკუნეში ქართველთა მეფე-ქალის ნეშტი, ან ქართველი რაინდები, როცა დღესაც ამ განათლებულ საფრანგეთშიც ბევრმა არაფერი იცის თვით საქართველოს შესახებაც“. შემდეგ კატეგორიულად დაასკვნის „მხოლოდ ეს ერთადერთი ცნობაც საკმარისი თამარის საფლავი პალესტინის ქართველთა ჯვრის მონასტერში გვეგულეობდეს“.

საკითხის დასმა, იცნობდნენ თუ არა ჯვაროსნები საქართველოს, ანდა დღევანდელი საქართველოს მე-13 საუკუნისას შევადაროთ, არასწორად მიმაჩნია.

მაშინდელ მსოფლიოში, უფრო სწორად, მახლობელ აღმოსავლეთში და ევროპაში საქართველო საკმაოდ ანგარიშგასაწევი ქვეყანა იყო. ჯვაროსნები, ალბათ, ვერც გაბედავდნენ 1204 წელს კონსტანტინოპოლის აღებას თამართან შეთანხმების გარეშე.

მაშ, საიდან მოდის ფრანგი რაინდის ცნობა? როგორც ჩანს, ჯვაროსნებში ცნობილი გახდა რომის პაპის ჰონორიუსის მიმოწერა ლაშა-გიორგისთან და ქართველთა მეფის თანხმობა ლაშქრობაში მონაწილეობის თაობაზე (1217-1221წწ). ჯვაროსნები, რომლებიც მარცხს-მარცხზე განიცდიდნენ, ალბათ იმედის თვალთ ელოდნენ ქართველთა ჯარის გამოჩენას, მაგრამ ამაოდ... ეს ლაშქრობა არ მოწყობილა, რადგან საქართველოს მონღოლები მოადგნენ.

ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, განა ეგრე ადვილი იყო „რაინდთა თანმხლებით“ ნეშტის იერუსალიმში ჩასვენება? გამწვავებული პოლიტიკური ვითარების ჟამს, შეიძლება ნეშტიც და თავიც დაგეპარგა. მითუმეტეს, რომ იერუსალიმი 1187 წლიდან არაბების ხელში იყო.

ასევე მცდარი გვგონია პოეტის მოსაზრება, თითქოს, თამარის დროებითი სამარხი „ეკვდერი“ წინასწარ იყო აგებული. ამდენად, თამარი დროებით დაასვენეს გელათში, შემდეგ კი იერუსალიმში გადაასვენეს. საქმე ის არის, რომ „ეკვდერი“ დროებითი სამარხი არ არის. „ეკვდერი“ - „მცირე სამწირვალო“ (სალოცავი) - განმარტავს სულხან საბა-ორბელიანი. მეორე დიდი ავტორიტეტი ივ. ჯავახიშვილი ნაშრომში „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“, ქართული წერილობითი

წყაროების შესწავლის საფუძველზე, განმარტავს: „ეგუტერი“ „ეკუტერი“, „ევეტერი“, „ეკვდერი“ თავდაპირველად სამლოცველოს ნიშნავდა, შემდეგში კი, მას ეკლესიაზე მიაშენებდნენ და იგი საგვარეულო დასასვენებელი ადგილი, ანუ საგვარეულო სამკვალე იყო“.

თამარი რომ გელათშია დასაფლავებული, ამის შესახებ მოგვითხრობს ყველა ისტორიკოსი, თამარის თანამედროვენი და მომდევნონიც. თამარის თანამედროვე ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდვარი „ცხოვრება მეფეთა-მეფე თამარისა“ გვამცნობს: თამარ დაიძინა, ძილი იგი მართალთა თუესა იანვარსა (ოცდარვასა) მცირეთა დღეთა მცეთად დადევს და მერმე უკანასკნელ თვით მუნვე გელათს დაამკვიდრეს, თავისსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებულთა პაპათა და მამათა მისთა სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა“ (ქართლის ცხოვრება“, ტ.2. გვ. 146).

ბასილი ეზოსმოდვარი არა მარტო, თანამედროვეა თამარის, არამედ მასთან დაახლოებული პირია, იგი თან ახლდა თამარს ბასიანის ბრძოლის წინ, როდესაც ქართველთა ჯარი ვარძიდან ბასიანისკენ გააცილეს: „თვით თამარი უძლოდა წინა შიშველი ფერხითა და ცრემლითა ასველებდა ლაწვთა მისთა“ და როდესაც თამარმა ჯარის სარდლები წმინდა ჯვრის თაყვანისცემად მიიწვია... „ერთი ხელითა თვით მას ეპყრა ძელი ჯვარისა, ხოლო ერთითა ეზოსმოდვარსა ბასილის“.

ისტორიკოსი მომსწრეა თამარის დაკრძალვის და საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს ისეთი დეტალი, რომ ცხედარი „მცირეთა დღეთა შინა მცხეთად დადევს“. ამასთან გვამცნობს, რომ თამარის განსასვენებელი ეკვდერი, თვით თამარის სიცოცხლეში ყოფილა აგებული „დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა“.

მეორე ქართველი, უცნობი ისტორიკოსი, თამარისა, ავტორი „ისტორია აზმანი შარავანდედთანი“, თამარის გარდაცვალების შესახებ მოგვითხრობს: „მიიცვალა მეფე თამარ... მოაწია მწუხარება დიდი და მოუთხრობელი მკვიდრთა საქართველოსათა და წარიყვანეს სამკვიდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა და დაუტყვეა სამეფო ძესა თვისსა ლაშას“. („ქართლის ცხოვრება“, ტ.2, გვ.118-119).

ამ ცნობითაც თამარის განსასვენებელი გელათში „ეკვდერი“ თამარის სიცოცხლეში ყოფილა აგებული.

ლაშა-გიორგის დროინდელი უცნობი ისტორიკოსი ცალკე თავში „ცხოვრება დიდი მეფისა თამარისი“ წერს: „მეფობასა შინა დაჰყო ოცდაშვიდი წელიწადი და აღვიდა უზენაესისა... თუესა იანვარსა, დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს... იგლოვა ყოველმან ამან სამეფომან ჟამსა ჯეროვანსა“. („ქართლის ცხოვრება“, ტ.1. გვ. 369).

იგივეს გვამცნობენ მომდევნო ისტორიკოსებიც: ფარსადან გორგიჯანიძე, ვახუშტი და სხვები.

ვახუშტი - „ამას შინა დაფლულ არიან აღმაშენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით და სხუანიცა და აწინდელნი მეფენი შემდგომად განაყოფისა იფლვიან იმერთასნი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ.4., გვ. 754).

ამ ისტორიკოსთა ცნობის შემდეგ განა ბუნებრივი არ არის, რომ ვიკითხოთ, რა უფრო სანდო წყაროა - ფრანგი რაინდის საეჭვო წერილი თუ „ქართლის ცხოვრება“?

დავანებოთ თავი ყველაფერს და გავარკვიოთ, რატომ უნდა დაეტოვებინა თამარს ანდერძი იერუსალიმში დასაფლავების შესახებ? განა იქ მანამდე რომელიმე ქართველი მეფის ნეშტი გადაუსვენებიათ? ბუნებრივი არ არის აქ დაიმარხო, სადაც შენი მამა-პაპანი ასვენია? გელათი ხომ „სამეფო კარის საკუთრება და სამკვალე იყო“.

ანდა თამარის კარის მოძღვარს, როგორ გამოეპარა ასეთი ანდერძის არსებობა?

რა თქმა უნდა, ამერიკა არ აღმოძიჩენია, ეს ყველაფერი ცნობილია, მაგრამ ზოგიეთის პასუხად დავწერე ლეგენდებით რომ საზრდოობენ.

კლიმენტი სუთიაშვილი, ისტორიკოსი



ღია გაკვეთილი, რომელიც ხელოვნების ზეიმად იქცა

ლიანა ტატიშვილი. შეუძლებელია, ეს სახელი ჩვენს ქალაქში ვინმესთვის უცნობი იყოს. ათეული წლებია ეს ქალბატონი ხაშურის მუსიკალურ ხელოვნებასთან ასოცირდება, ათეული წლებია მუსიკალურ სფეროში მოძღვრავს იგი ახალგაზრდებს და თუ დღეს, ჩვენს ქალაქში, მუსიკალური კულტურა ძალიან



მაღალ დონეზეა, ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება სწორედ მას მიუძღვის. ამიტომაც უთხრა მას მადლობა მთელმა ქალაქმა, მთელმა მუნიციპალიტეტმა, როდესაც, ამ რამდენიმე წლის უკან, სამუსიკო სკოლასთან, ვარსკვლავი გაუხსნა. ეს იყო მადლობა პედაგოგის, ხელოვანის, კომპოზიტორის მიმართ. არამარტო ჩვენს ქალაქში, ანდა საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ბევრჯერ აღუფრთოვანებია მის ხელოვნებას, მის მიერ დამოძღვრილ ბავშვთა გუნდებს თუ ანსამბლებს პუბლიკა და ასეა დღემდე. ამჯერადაც სიურპრიზი მოგვიმზადა ქალბატონმა ლიანამ. სიმართლე გითხრათ, როდესაც მისგან ღია გაკვეთილზე მიწვევა მივიღეთ, ოდნავ სკეპტიციზმი დაგვეუფლა, რადგან წარმოდგენაშიც ვერ გავიფიქრებდით, რომ რაღაც „მშრალი“ ან „ყოველდღიური“ გაკვეთილის ნაცვლად, ხელოვნების ზეიმის თანამონაწილენი გავხდებოდით. არადა, მართლაც ასე მოხდა. ღია გა-

კვეთილი გასცდა „რიგითობის“ ფარგლებს, დაამსხვრია ჩვენს წარმოდგენაში არსებული სტერეოტიპი და იმდენად მიმზიდველ სანახაობად იქცა, რომ „აკადემიური საგაკვეთილო საათის“- 45 წუთის ამოწურვის შემდეგ, დამსწრეთა თხოვნით, კიდევ ერთი „გაკვეთილი“ გაგრძელდა. აქ იყო ყველაფერი – ქართული პოლიფონია, ხმებში გაშლილი უცხოური ჰიტები, რომელსაც საოცრად მაღალ დონეზე ასრულებდნენ შოთა რუსთაველის სახელობის ხაშურის მე-9 საჯარო სკოლის მოსწავლეები. სწორედ ამ სკოლაში მოღვაწეობს დღეს ქალბატონი ლიანა და არავის უკვირს თუ დღეს ეს სკოლა, მუსიკალური კუთხით, ერთ-ერთი მოწინავეა. გაკვეთილს თან ახლდა სიურპრიზები. თუნდაც ის რად ღირდა, როდესაც ცნობილი კომპოზიტორი ოთარ ტატიშვილი ჩაება პროცესში და მისმა და ბავშვთა გუნდის მიერ შესრულებულმა ექსპორტმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა.

ღია გაკვეთილს უმაღლესი შეფასება მისცა თბილისის სახელმწიფო კონ-



სერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ავთანდილ მამაცაშვილმა. მე-9 საჯარო სკოლის დირექტორმა მამუკა ხაჩიძემ კი გააუღერა სიახლე, რომელსაც დამსწრე საზოგადოება მხურვალე აპლოდისმენტებით შეხვდა – ამიერიდან სკოლის სააქტო-საკონფერენციო დარბაზი ლიანა ტატიშვილის სახელობის იქნება. დასასრულს, დამსწრე საზოგადოებამ, მოწვეულმა სტუმრებმა კიდევ ერთხელ გადაუხადეს მადლობა ამ ღირსეულ ქალბატონს და იმედი გამოთქვეს, რომ მისი ხელოვნების თანამოზიარენი კიდევ მრავალი წელი იქნებიან.

გოგი გოგალაძე

საზოგადოება „დიდგორი-1121“-ის დამფუძნებლები ხაშურში

გასულ კვირას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში საზოგადოება „დიდგორი - 1121“-ის დამფუძნებლები იმყოფებოდნენ. ვაჟა შუბითიძემ, ერეკლე საღლიანმა, ზვიად კვიციანიამ, მამუკა კარტოზიამ დაწვრილებით გააცნეს საზოგადოების წესდება, მიზნები და ამოცანები, ისაუბრეს მოზარდთა თაობის პატრიოტული აღზრდის სავალალო მდგომარეობაზე ქვეყნის შიგნით თუ ქართველ ემიგრანტებს შორის, დიდგორობის ქვეყნის მასშტაბით აღნიშვნის აუცილებლობაზე, უმძიმეს დემოგრაფიულ ვითარებაზე ქვეყანაში. პროფესორმა ვაჟა შუბითიძემ მასპინძლებს ასევე გააცნო თავისი წიგნი „სამშობლოსმცოდნეობა“, რომლის დაბეჭდვა დღემდე ვერ ხერხდება უსახსრობის გამო. დაითქვა, რომ სკოლების მოსწავლეებს ერთხელ მაინც დიდგორის ველზე ჩაუტარდებოთ „ცოცხალი გაკვეთილი“ საქართველოს ისტორიაში, მუზეუმებში მოეწყოთ დიდგორის ბრძოლის და აღმასწავლებლის ეპოქის ამსახველი ექსპოზიცია, მოხდეს დიდგორობის აღნიშვნა ადგილზე ხელისუფლების და ხალხის მონაწილეობით და გაძლიერდეს მუშაობა მოზარდთა პატრიოტული აღზრდის კუთხით.



პაჭარა „ივერიელები“ – ყველაზე მეზობლი გუნდი

ნოდარ ახალკაცის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც თბილისში იმართება, უკვე ტრადიციული გახდა. ეს ტურნირი ყოველწლიურად იმართება და მასში მონაწილეობისათვის მიწვევაც კი უკვე თავისთავად პატივია და ეს უკვე ნიშნავს, რომ გუნდს წარმატებები უმაგრებს ზურგს. ჩვენი სასპორტო სკოლის პატარა „ივერიელებიც“ (2008-2009წ) შემთხვევით არ მიუწვევიათ ტურნირზე. ეს გუნდი კარგად ასპარეზობს საქართველოს ჩემპიონატში და საკუთარი ხელწერაც გააჩნია, რაც, რა თქმა უნდა, პროფესიონალი მწვრთნელების ზახა ლაცაბიძის და ზურა ლომიძის უდიდესი დამსახურებაა. არც ამჯერად შეურცხვენიათ ჩვენს პატარებს თავი. ჯერ ჯგუფში დაიკავეს მეორე ადგილი, სადაც ვლადიკავკაზის „ალანია“(3:2) და თბილისის ლოკომოტივი(3:2) დაამარცხეს, შემდეგ კი, მეოთხედფინალში, პენალტების სერიაში(ძირითადი დრო- 1:1) ქუთაისი „ტორპედო“-ს სძლიეს. საბოლოო ჯამში „ივერიელები“ მეოთხე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ ეს შედეგი მათ აშკარად წარმატებად უნდა ჩაეუთვალოთ, რადგან მათ, საქართველოს გუნდების გარდა, უკან რუსეთის, ყაზახეთის, ოსეთის და სომხეთის გუნდები მოიტოვეს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს გუნდს სპეციალური პრიზიც გადაეცა - „ყველაზე მეზობლი გუნდი“, ეს კი გვიჩვენს იმედს, რომ ხვალ-ზევ ამ პატარებისგან ნამდვილი პროფესიონალები ჩამოყალიბდებიან და ქვეყანასთან ერთად, „ივერიაც“ გაბრწყინდება.

გოგი გოგალაძე



ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.